ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერია

შიდა აუდიტის სამსახური

წლიური ანგარიში

2020 წელი

1. შესავალი

წინამდებარე ანგარიში მოიცავს ლაგოდეხის მუნიციპალიტეეტის მერიის შიდა აუდიტის სამსახურის მიერ 2020 წელს განხორციელებული საქმიანობის ანგარიშს.

სამსახურის სტრუქტურა შედგება სამსახურის უფროსისა და ორი საჯარო მოსამსახურისაგან.

2. მოკლე მიმოხილვა

შიდა აუდიტის სამსახურის საქმიანობის სამართლებრივი საფუძველია: 1 ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის სამსახურის დებულება. 2. საქართველოს კანონი სახელმწიფო შიდა ფინანსური კონტროლის შესახებ". 3. შიდა აუდიტის მეთოდოლოგია". 4. შიდა აუდიტორთა ეთიკის კოდექსი. 5. შიდა აუდიტის სტანდარტები.

შიდა აუდიტის სამსახურის სტრუქტურა ფუნქციები და მოვალეობები განისაზღვრება ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერიის შიდა აუდიტის სამსახურის დებულების მიხედვით.

შიდა აუდიტის მიზნებია: 1. ორგანიზაციის მიერ განხორციელებული ოპერაციების შესაბამისობა საქართველოს კანონმდებლობასთან მიმართებაში. 2. ფინანსური და ოპერაციული ინფორმაციის თაობაზე სრულყოფილი, ამომწურავი და სანდო ანგარიშგების მომზადება. 3. საბიუჯეტო სახსრების და რესურსების ეკონომიურად, ეფექტიანად და პროდუქტიულად გამოყენება. 4. აქტივების, ინფორმაციის და სხვა რესურსების დაცვა დაკარგვისაგან, არამართლზომიერი გამოყენებისაგან.

3. განხორციელებული ღონისძიებები

2020 წელს ქვეყანაში არსებული კოვიდ 19 პანდემიის წინააღმდეგ განხორციელებული ღონისძიებების და რეგულაციების გათვალისწინებით, შიდა აუდიტის სამსახურის მიერ დაგეგმილი 5 შიდა აუდიტორული შემოწმებიდან განხორციელდა 4 შიდა აუდიტორული შემოწმება.

შიდა აუდიტის სამსახურის მიერ 2020 წელს ჩატარებული შიდა აუდიტორული შემოწმებები:

№	შიდა აუდიტის ობიექტი	აუდიტის სახე	შემოწმების პერიოდი	შესამოწმებელი პერიოდი	აუდიტორი
1	ა.(ა)ი.პ. ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამსახური:	შესაბამისობის აუდიტი	I კვარტალი	1.01.2019-31.12.2019	2
2	ა.(ა.)ი.პ.-ის ლაგოდეხის	შესაბამისობის	I-II	1.01.2019-	2

	მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზდის დაწესებულებათა – გაერთიანება.	აუდიტი	კვარტალი	31.12.2020	
3	ა.(ა)ი.პ. ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სერვის ცენტრი.	შესაბამისობის აუდიტი	II-III კვარტალი	1.01.2019-31.12.2020	2
4	ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერიის „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის.“ ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებები.	შესაბამისობის აუდიტი	III-IV კვარტალი	1.01.2020-31.12.2020	2

პანდემიის გამო ვერ განხორციელდა ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვის და სოციალური მომსახურების სამსახურის შიდა აუდიტორული შემოწმება. რომლის ჩატარებაც გათვალისწინებულია შიდა აუდიტის სამსახურის 2021 წლის სამუშაო გეგმაში.

2020 წელს შიდა აუდიტის სამსახურმა ჩაატარა მონიტორინგები, კერძოდ:

მონიტორინგის ობიექტი	მონიტორინგის ჩატარების პერიოდი
1. ა.(ა)ი.პ. ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის კულტურის, სპორტის და ახალგაზრდული საქმეთა განვითარების ცენტრი:	თებერვალი
2. ა.(ა)ი.პ. ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სერვის ცენტრი:	თებერვალი
3. ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერიის პროგრამა „წყლის სისტემების მოწყობა რეაბილიტაცია.“	დეკემბერი
4. ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერიის პროგრამა „სკოლამდელი კაპიტალური.“	დეკემბერი

4. შედეგები

შიდა აუდიტორული შემოწმებების შედეგად აუდიტის ობიექტებს წარედგინათ შენიშვნები და რეკომენდაციები შემდეგ საკითხებზე.

1. ა.(ა)ი.პ. ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის სამსახური:
   1) ინვენტარიზაციის დოკუმენტაციით აღიარებული მოძრავი ქონების საკითხი.
   2) სახელმწიფო პროგრამით მიღებული მედიკამენტების გაწერა – განაწილების საკითხი.

2. ა.(ა.)ი.პ.-ის ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სკოლამდელი აღზდის დაწესებულებათა გაერთიანება.
   1) ინვენტარიზაციის საკითხი.
   2) შესყიდვების შესახებ.

3. ა.(ა)ი.პ. ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სერვის ცენტრი.
   1) საწვავის ხარჯვა-აღრიცხვა:
   2) ტრანსპორტის და ტექნიკის ტექნიკური მომსახურება:
   3) სასაწყობე მეურნეობის წარმოება:
   4) ინტერესთა კონფლიქტი:

4. ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერიის „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის." ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებები.

   1) სამონტაჟო და სპეციალური სამშენებლო სამუშაოებზე ზედნადები ხარჯების და გეგმიური დაგროვების დარიცხვა.

შიდა აუდიტის სამსახურურის მიერ ჩაატარებული მონიტორინგის შედეგები:

მონიტორინგის შედეგები ემყარება აუდიტის ობიექტების მიერ მოწოდებულ წერილობით ინფორმაციას, რომელიც გადამოწმდება შემდეგი შიდა აუდიტორული შემოწმების დროს.

1. ა.(ა)ი.პ. ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის კულტურის, სპორტის და ახალგაზრდული საქმეთა განვითარების ცენტრი:
   1) ინვენტარიზაციის საკითხი. (შესრულებულია)
   2) წარმომადგენლობითი ხარჯების საკითხი. (შესრულებულია)
   3) წლის განმავლობაში განხორციელებული მივლინებების საკითხი. (შესრულებულია)
   4) სატრანსპორტო მომსახურეობაზე გაწეული ხარჯების საკითხი. (არარის შესრულებული)
   5) მოწვეულ შემოქმედებით ჯგუფებზე და მომღერლებზე გაწეული ხარჯები. (არარის შესრულებული)
   6) შიდა სტრუქტურული ერთეულებში ფუნქციების გამიჯვნის საკითხი. (შესრულებულია)
2. ა.(ა)ი.პ. ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სერვის ცენტრი:
   1) საწვავის ჩამოწერის საკითხი. (არ არის შესრულებული)
   2) ავტოსატრანსპორტო საშუალებების ექსპლუატაციის სააღრიცხვო ბარათის წარმოების საკითხი. (არ არის შესრულებული)
   3) თანამშრომელთა პირად საკუთრებაში არსებული ავტომანქანებზე გაფორმებული ქირავნობის ხელშეკრულებების საკითხი. (შესრულებულია)
3. ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერიის პროგრამა „წყლის სისტემების მოწყობა რეაბილიტაცია."

1) საწყისი სავარაუდო (სატენდერო) ღირებულებასა და ფაქტობრივად შესრულებული სამუშაოების ღირებულების შორის სხვაობის საკითხი. (შესრულებულია)
2) სასმელი წყლის მიწოდება და კონტროლი. (შესრულებულია)
3) სასმელი წყლის ხარისხი და კონტროლი. (არ არის შესრულებული)
4) სოფელ ზემო ბოლქვში ჭაბურღილის და სადაწნეო-საუბნო ქსელის მოწყობის საკითხი. (შესრულებულია)

4. ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის მერიის პროგრამა „სკოლამდელი კაპიტალური.“
   1) პროგრამის ფარგლებში განხორციელებული სამშენებლო სარეაბილიტაციო სამუშაოების შესახებ. (არ არის შესრულებული)

5. სასწავლო ღონისძიებები

2020წელს შიდა აუდიტის სამსახურის თანამშრომლებმა გაიარეს ტრენინგები. კერძოდ: სსიპ საჯარო აუდიტის ინსტიტუტის მიერ ჩატარებულ ტრენინგს „რისკზე ორიენტირებული შიდა აუდიტი“.

სამსახურის უფროსი: /მ. ნოზაძე/